სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 15 (4554) • 11 ოქტომბერი • 2017 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

გაიხსნა ბაგა-ბაღი

მომავალი თაობის სამსახურში

18 სექტემბერს, ურეკის 4-ში, თბილისის ნაძალადევის რაიონის გამორჩეულ დასახლებაში, კიდევ ერთი კეთილმოწყობილი – 113-ე ბაგა-ბაღი გაიხსნა. 10-ჯგუფიანი ბაღი 400 ბავშვზეა გათვლილი.

ამჟამად აქ 360 აღსაზრდელი ირიცხება. დასაქმებულია 68 მომსახურე პერსონალი. ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს კარგი ორგანიზატორი **ნინო ჭელიძე**.

ბაღის შენობა, მისი ტექნიკური ბაზა თანამედროვე, კომფორტული, ენერგოეფექტურია. იგი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მორგებულია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. მუშაობს ლიფტი, არის პანდუსები.

შიდა ეზოში განთავსებულია ბავშვებისთვის საყვარელი სხვადასხვა ატრაქციონი და საპარკე ინვენტარი.

ბაგა-ბაღის გახსნას ესწრებოდნენ ქალაქ თბილისის მერი ბატონი **დავით ნარმანია** და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ბატონი **თემურ თორდინავა**. მათ ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს, მათ მშობლებს, პედაგოგებს მიულოცეს ეს მოვლენა და საჩუქრად წიგნები გადასცეს.

საგულისხმოა, რომ ბაგა-ბაღში შექმნილია განმავითარებელი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული გუნდი: სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების კოორდინატორი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი, სპეცპედაგოგი. ისინი პირველი დღიდანვე ჩართულები არიან ამ საჭიროების მქონე ბავშვების აღზრდის პროცესში. ვინც ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, ისინი მათ საჭირო დახმარებას უწევენ.

ბაგა-ბაღი საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ რეკომენდირებული მეთოდოლოგიით მუშაობს.

აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების გამოცდილი გუნდი ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა აღსაზრდელებს შეუქმნან სასიამოვნო, მშვიდი და უსაფრთხო

გარემო. ბაღში მოსულ ბავშვებს დიდი სითბოთი და სიყვარულით ეგებებიან.

ჩვენი გაზეთის რედაქცია 113-ე ბაგა-ბაღის კოლექტივს წარმატებებს უსურვებს მომავალი თაობის აღზრდის რთულ და საპატიო საქმეში.

რომან მოსეშვილი

წარმატებულთა შორის

მუშაობა – თავდადებული, შედეგი – სანარჩილო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სტრატეგიაში აქცენტი ინკლუზიური განათლების მასშტაბების ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე კეთდება. თბილისის 132-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – **თამარ მაჭარაშვილი**) ერთ-ერთია იმ სკოლათა შორის, რომელიც ინკლუზიურ განათლებაშია ჩართული, ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი რესურს-ოთახით, სადაც ყოველდღიურად ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები მიმდინარეობს სხვადასხვა საჭიროების მქონე 11 ბავშვთან. ისინი, ასაკისა და შეფასების მიხედვით, სხვადასხვა კლასში ირიცხებიან. თუკი ბავშვი დიდი ხნით გაკვეთილზე ვერ ჩერდება, ის რესურს-ოთახში სპეცპედაგოგის მეთვალყურეობით აგრძელებს სწავლას, სადაც, ფსიქოლოგ **გვანცა დადალაურის** ხელმძღვანელობით, სპეცპედაგოგები – **ნატო ვარამაშვილი, ნინო ცქვიტიშვილი, თამარ წიკლაური** და საგნის მასწავლებელი **ნინო ნაფეტვარიძე** ყველა პირობას ქმნიან მათი საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობისათვის. სკოლაში სსსმ ბავშვთა რაოდენობა გაიზარდა და, აქედან გამომდინარე, მეორე რესურს-ოთახიც შეიქმნა (სპეცპედაგოგები – **ლელა ბასილაშვილი** და **ნინო ტეფნაძე**), რომელიც სხვადასხვა დარღვევისა და დიაგნოზის მქონე (დაუნის სინდრომით, სხვადასხვა დონისა და ხარისხის გონებრივი ჩამორჩენით) ბავშვებს ემსახურება. წინასწარ შემუშავებული გრაფიკით, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, სპეცპედაგოგებს ისინი გამოჰყავთ გაკვეთილებიდან და თითოეულ მათგანთან მუშაობენ. მეორე რესურს-ოთახში აუტისტი ბავშვები მთელი დღის განმავლობაში არიან. მათ ნელ-ნელა აჩვევენ საგაკვეთილო პროცესს, 5-10 წუთით შეჰყავთ კლასებში და, როცა ბავშვის ქცევა რეგულირდება და გარკვეულ შედეგებამდე მიდიან, მთლიანად გადადიან ჩვეულებრივ კლასებში. პედაგოგებმა ძალიან კარგი შედეგი მიიღეს, თუმცა ეს მარტივი არ იყო. ერთი ბავშვი, **ელენე ნადიბაიძე** უკვე გადავიდა ჩვეულებრივ კლასში, დამოუკიდებელი გახდა. ამ მხრივ სკოლას საამაყო მართლაც ბევრი აქვს, რადგან ამ ბავშვებისთვის ყველა პირობაა შექმნილი და ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადებიან.

თამარ მაჭარაშვილი პროფესიით დაწყებითი კლასების მასწავლებელია. დამსახურებული პედაგოგების ოჯახში აღზრდილი, თავადაც საუკეთესო პედაგოგია უფროსი მასწავლებლის სტატუსით, დირექტორთა გამოცდაც 2-ჯერ აქვს ჩაბარებული საუკეთესო შედეგებით და ეს სკოლაც თავად აირჩია, თუმცა, კარგად იცოდა, რომ წინ დიდი სირთულეები ელოდა. ამჟამად სკოლა სამსექტორიანია – **სომხურ, რუსულ, ქართული, სადაც 12 ეროვნების ბავშვი მეგობრულ გარემოში სწავლობს**. ქართული – სულ ცოტა ხნის წინ დაემატა და ქალბატონი თამარი არის პირველი დირექტორი ქართული სექტორისა. მართალია, მცდელობა წინამორბედ დირექტორსაც ჰქონდა, მაგრამ იმ დროისთვის მხოლოდ 1 პირველი კლასის გახსნა მოხერხდა, სადაც მხოლოდ 8 ბავშვი ირიცხებოდა. დიდი ძალისხმევისა და კოლეგების დახმარებით (განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენიებს ქალბატონი თამარი მეზობელი 71-ე სკოლის დირექტორს ბატონ **რამაზ სუხიტაშვილს**, რომელიც 15 სექტემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა), მოსახლეობაში ნდობამ იმატა და 3 წელიწადში მათი რიცხვი 200 ბავშვიდან – 700-მდე გაიზარდა. გასულ წელს ქართული სექტორის პირველი დამამთავრებელი კლასის გამოშვებაც იზეიმეს. ქალბატონი თამარი აღნიშნავს, რომ ეს არის სკოლა, სადაც მეგობრობასა და სიყვარულს ასწავლიან.

სკოლაში ფუნქციონირებს კათედრები: ქართული ენის – ხელმძღვანელი **მარინე წივწივაძე**, უცხო ენების – **თამარ ჩიკოიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერების – **ეკატერინე დათუკიშვილი**, მათემატიკის – **ნელი ებრიალიძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – **დიანა ასანიძე**, დაწყებითი კლასების – **ნანა ყარაჯაშვილი**, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის – **ეკატერინე ჩეპოვსკაია**.

თამარ მაჭარაშვილმა საკუთარი ხედვითა და შემუშავებული სტრატეგიით შეძლო საუკეთესო პედაგოგების მოწვევა და სხვადასხვა ენოვანი კოლექტივის ერთ მუშტად შეკვრა. უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ: **ცისანა ლილუაშვილს** (დაწყებითი კლასები; ქართული, როგორც მეორე ენა), **ნინო რუხაძეს**, **შორენა ცაბაძეს**, **თამარ ილურიძეს** – (ქართული ენა და ლიტერატურე), **მზია მინდორაშვილს**, **თამარ მაჭარაშვილს**, **ნელი ებრიალიძეს**, **ვიქტორია აბრამიანს**, **ლიანა შანიძეს** – (მათემატიკა); **ეკატერინე დათუკიშვილს** (ისტორია), **დიანა ასანიძეს** (ქიმია), **ნანა ყარაჯაშვილს** (დაწყებითი კლასები), **თამარ ჩიკოიძეს** (ინგლისური ენა), **ლალი გიორგაძეს** (ფიზიკა).

მოსწავლეებს საუკეთესო განათლებას აძლევენ, ლიტერატურისა და ისტორიის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, თუ ზუსტი მეცნიერებების სამყაროში ამოგზაურებენ პედაგოგები: **ირინა საროკინა, როზა მანასიანცი, ზიტა შაგინიანი** – რუსული ენა და ლიტერატურა; **მარინე წივწივაძე, ციცინო ჯალაღანია, სუსანა ასლანიანი** – ქართული, როგორც მეორე ენა; **მაია კახნიაშვილი** (მათემატიკა), ოლღა ზალდასტანიშვილი (ფრანგული ენა), **ინგა ამირჯანოვა** (ისტორია, სამოქალაქო განათლება, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება, სამოქალაქო თავდაცვა), **გიორგი ფიფია** (გეოგრაფია, ბიოლოგია), **ინესა მანდალიანი** (ფიზიკა), **ემა ასტვაცატურიანი** (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია), **ვალენტინა ახრახაძე** (გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება), **ლარისა გევორქიანი** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), **თამარ ფალელაშვილი, ეკატერინე ტრიანდაფილოვა** (ინგლისური ენა), **ეკატერინე ჩეპოვსკაია, ბელა გიორგაძე** (მუსიკა), **ინა მელაშვილი, გიორგი ფანცულაია** (სპორტი), **ნათია კუჭაშვილი, ელიკო აბუაშვილი, მზია ჩხაიძე, ლარისა ყაზიშვილი, ლუიზა პეტროსიანი, ასტღიკ მანუკიანი** (დაწყებითი კლასები), **ინგა ბოლქვაძე** (ისტორია, გერმანული ენა), **ასმიკ დონაკანიანი** (სომხური ენა, ისტორია), **კარინე ეგოიანი** (გეოგრაფია, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება), **ნათია მაჭარაშვილი** (ჩვენი საქართველო, ისტორია, სამოქალაქო განათლება), **ნათელა ზექალაშვილი** (მსოფლიო კულტურა).

დირექტორთან ერთად, სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში მონაწილეობენ დირექტორის მოადგილე **ეკა დათუკიშვილი** და შეფასების ჯგუფის ფასილიტატორები – **ვიქტორია აბრამიანი, თამარ ჩიკოიძე.**

სკოლაში აქტიურად აღნიშნავენ ტრადიციულ ღონისძიებებს — დედამიწის, აუტიზმის ცნობადობის, ბავშვთა დაცვისა თუ მასწავლებლის დღეებს. მონაწილეობენ ზღაპრების კონკურსში, სადაც გამარჯვებულები ხშირად არიან. გასულ სასწავლო წელს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკურ კონკურსში **„წარსულით შექმნილი მომავალი“**, ამ სკოლის მოსწავლემ – **მილანა ხითაროვამ** გაიმარჯვა, დაჯილდოვდა 500-ლარიანი ვაუჩერითა და წყნეთში ბრიტანულ საზაფხულო სკოლაში დასვენებით.

არასამთავრობო ორგანიზაცია „world vision“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით, სკოლაში უფასო წრეები – თიხა, თექა, ხატვა ფუნქციონირებს და ყველა საჭირო მასალითაც თავად ამარაგებენ.

სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული გლდანის პროფესიული გადამზადების კოლეჯთან, რაც, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად, X–XII კლასების მოსწავლეებს პროფესიის დაუფლებაში უწყობს ხელს.

კიდევ ბევრი კარგი რამ დაგვრჩა უთქმელი ამ აღორძინებული სკოლის შესახებ, რომელიც, იმედი გვაქვს, თავის სიტყვას იტყვის წარმატებულ სკოლათა შორის.

ნათია გურგენიძე

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ნაძალადევის რაიონში, უძველესი ტრადიციების მე-10 საჯარო სკოლა (დირექტორი – **ბელა ხუბუტია**) 1937 წელს გაიხსნა. ამ დროის განმავლობაში ღირსეულად უძღვებოდა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს და ჭირ-ვარამიც ბევრი ნახა. მეორე მსოფლიო ომის დროს აქ ლაზარეთი იყო გახსნილი და ხალხს მკურნალობდნენ. იუბილარ სკოლას წელს 80 წელი უსრულდება. მის კედლებში ბევრი სახელოვანი ადამიანი აღიზარდა, რომელთა შორის არიან: პოეტი **ვახტანგ გორგანელი**, მსახიობი **მარლენ ეგუტია** და სხვები. თანამედროვე ცხოვრებას სწრაფად აუწყვეს ფეხი და, ამჟამად, ინკლუზიური სწავლებითა თუ სხვა წარმატებებით, ერთ-ერთი მოწინავეა. ნოვატორმა, სიახლეებზე ორიენტირებულმა დირექტორმა **ბელა ხუბუტიამ** კოლეგებში საქმიანი, თანამშრომლობითი გარემო შექმნა; არ არის გამოწვევები, სკოლამ რომ არ უპასუხოს. თავად 5 შვილის აღმზრდელი ქალბატონი ბავშვის ფსიქოლოგიას კარგად იცნობს და სწორედ ამიტომაა, რომ თითოეულ მათგანთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს. კოლექტივი ყველაფერს აკეთებს, რათა დიდი ხნის წინ მიზნად დასახული სლოგანი – **„ჩვენ ვზრდით საქართველოს განათლებულ მომავალს“** – გაამართლოს. შედეგიც სახეზეა – 2010 წელს **„წლის საუკეთესო სკოლის“** წოდება მიენიჭათ.

მომავალი თაობის აღზრდა დაწყებითი კლასებიდან იწყება და სწორედ პირველმა მასწავლებელმა უნდა დაანთოს პატარების

„ჩვენ ვზრდით საქართველოს განათლებულ მომავალს“

ბედნიერია ბავშვობა თქვენი

გულში სწავლის ჩირაღდანი. 20 წელზე მეტია ამ ღირსეული კოლექტივის ერთ-ერთი წარმომადგენელია ფილოლოგი, დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **მანონ დანელია**. სკოლაში დამსახურებული მასწავლებლის **ქეთევან დოლიძის** რეკომენდაციით მოვიდა და დღემდე მისი მადლიერია. „ჩემს თავს სწორედ ბავშვებთან და სწორედ სკოლაში ვხედავ. ეს პატარები ჩემი ცხოვრების სილამაზეა“, – ამბობს მანონ მასწავლებელი. თვალხატულა გოგო-ბიჭებმა კი, როცა სკოლის ზღურბლს გადააბიჯეს და საოცარი გემოვნებით მორთულ საკლასო ოთახში მერხებს პირველად მიუსხდნენ, სწორედ ის სითბო და სიყვარული დაინახეს, წლების მანძილზე რომ არავის ავიწყდება.

მაია ბახტაძე, ყოფილი მოსწავლის **ზუკა ჯაფარიძის** ბებია: „მანონ მასწავლებელი სიყვარულსა და სათნოებას ასხივებს. არავის ახსოვს მისი ხმამაღალი სიტყვა. ყველაზე ცელქ და მოუსვენარ ბავშვებთანაც კი თბილი, ტკბილი, დაბალი ხმით აგვარებს ყველაფერს, მოფერებით „ათვინიერებს“ მათ“.

სოფო პაჭკორია, მშობელი: „მივიჩნევ, რომ ეს სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა და ამიტომაც ჩემი 3 შვილი ვანდე აღსაზრდელად. მანონ მასწავლებლის საქებრად კი სიტყვები არ მეყოფა. იგი კვალიფიციური პედაგოგი და თავისი საქმის პროფესიონალია. აქტიურად იყენებს თანამედროვე მეთოდებს, რაც საგაკვეთილო პროცესს საინტერესოსა და სახალისოს ქმნის. მიხარია, რომ ჩემი უმცროსი შვილი მასთან მოხვდა“.

„კეთილი, ლამაზი, განათლებული, ინტელექტუალური“... მის დასახასიათებლად ყოფილი მოსწავლეები ათასგვარ ეპითეტს იყენებენ, დასვენებაზე ხშირად მიირბენენ, ჩაეხუტებიან და ეფერებიან.

მანონ დანელია წელს მეოთხედ ამოგზაურებს პირველკლასელებს ანბანის სამყაროში. არავის დაავიწყდება მის მიერ „მოქარგული“ ქართული ასოები, პირველი ზარიც დაირეკა და „დედაენის“ შესასწავლ დიდ აღმართს შეუდგნენ, რომლის ბოლოსაც ნათელი ჩირაღდანია. აი, ისინიც: **ელენე ალხაზიშვილი, სანდრო ბაქრაძე, ბექა ბაქრაძე, დაჩი გიგაშვილი, ნინო გოგოლაძე, ლიკა გოცირიძე, დაჩი დარჩია, ანასტასია დოდიაშვილი, დეა ზაუტაშვილი, ნიკოლოზ ზურაბიანი, ნიკოლოზ მაგრაქველიძე, გიორგი მედოიძე, უჩა მენთეშაშვილი, მათე მკალავიშვილი, ნიკოლოზ ონიაშვილი, ზურაბ ოქროპირიძე, მარიამ ოქროპირიძე, ანი სიდამონიძე, მათე ტაბატაძე, ელენე შავაძე, ანასტასია ჩინჩალაძე, ცოტნე ჩხაიძე, ერეკლე ჭეჭელაშვილი, გიორგი ჭუბაბრია, ნიკოლოზ ხვითია, ბარბარე ჯიქურაძე.**

ბედნიერია ბავშვობა თქვენი, რადგან თბილ, მეგობრულ გარემოში, სიმშვიდესა და სიყვარულში გაივლის მომავალი 4 წელი, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ და თქვენი პირველი მასწავლებელიც მუდამ თქვენს გულში იქნება.

ნათია გურგენიძე

შემეცნებაც, გართობაც

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის საგანმანათლებლო საქმიანობა

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი 1887-1892 წლებში დაარსა რუსმა ბიოლოგმა **ნიკოლაი შავროვმა.** მუზეუმის შენობა სპეციალურად ააგო პოლონელმა არქიტექტორმა **ალექსანდრე შიმკევმა** და ამჟამად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. მუზეუმი მდებარეობს „დინამო-არენას“ გვერდით გ. ცაბაძის 6-ში. მუზეუმი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს – საგამოფენო, საბიბლიოთეკო და საგანმანათლებლო. ბიბლიოთეკა მუზეუმის დაარსების დროინდელია. აქ წარმოდგენილია წიგნები 16 ენაზე. აქაურები იღვწიან, რათა ბიბლიოთეკაში მკითხველებმა იმრავლონ. ექსპოზიციის დათვალიერებისას გაეცნობით ამ უნიკალური მუზეუმის დაარსების ისტორიას, შენობის არქიტექტურას, აბრეშუმის აღმოჩენისა და გავრცელების საინტერესო ამბებს.

მუზეუმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მიმართულება საგანმანათლებლო საქმიანობაა. იგი ყოველწლიურად რამდენიმე ათას მოსწავლეს მასპინძლობს. მათთვის ფუნქციონირებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამა, გათვალისწინებულია თეორიული და პრაქტიკული აქტივობები, შემეცნებაც და გართობაც.

საგანმანათლებლო პროგრამები ეფუძნება მუზეუმში დაცულ სხვადასხვა კოლექციას. **ფერების ძალა**; **4 სიცოცხლე**; **ცურუ – მზის სამშობლოდან**; **წყალქვეშა თაგადასავალი**; **ჰონიჰოკე**.

„ფერების ძალა“ – დაფუძნებული სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამაა მუზეუმის ნატურალური საღებავების კოლექციაზე, უფროსკლასელებს საშუალება აქვთ გაიღრმავონ ცოდნა ოპტიკურ ფიზიკაში. სახალისო-შემეცნებითი მსჯელობით გაეცნონ ნიუტონის ფერთა ბორბალს, ასევე, ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობის განხილვით, ფერის თვისებასა და ამ თემაზე შექმნილ თეორიებს (გოეთეს და იტების ფერთა თეორიები).

„4 სიცოცხლე“ – სპეციალური პროგრამაა მეოთხეკლასელებისთვის. იგი სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ თემაზე – პეპლის სასიცოცხლო ციკლზეა დაფუძნებული. პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს საშუალება აქვთ მოაწყონ გასვლითი გაკვეთილები და მონაწილეობა მიიღონ მუზეუმის მიერ დაგეგმილ სახალისო აქტივობაში.

„ცურუ – მზის სამშობლოდან“. ეს პროგრამა მუზეუმში წარმოდგენილ ტრადიციულ იაპონურ კიმონოსა და ისტორიისა და გეოგრაფიის სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზეა დაფუძნებული.

მოსწავლეები ეცნობიან ტრადიციულ იაპონურ ჩაცმულობას, კულტურას და, დასკვნით ნაწილში, ქაღალდის კეცვის იაპონური მეთოდით ამზადებენ სამახსოვრო ორიგამის კიმონოებს.

„წყალქვეშა თავგადასავალი“ – ნიჟარების კოლექციაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამაა. მონაწილეები წარმოსახვით იმოგზაურებენ ნიჟარების სამყაროში და გაეცნობიან საინტერესო ინფორმაციას მათს შესახებ. ასევე, აღმოაჩენენ კავშირს ნიჟარებსა და აბრეშუმს შორის. პროგრამის დასკვნით ნაწილში ბავშვები ითამაშებენ სახალისო, შემეცნებით თამაშს და შექმნიან ნიჟარების საკუთარ კოლექციას.

20 სექტემბერს, ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, გაიხსნა ამერიკელი ფოტოგრაფის **ედუარდ კურტისის** ფოტოგამოფენა, რომელიც ინდიელების ყოფა-ცხოვრებასა და ტრადიციებს ასახავს. გამოფენას თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამა **„ჰონიჰოკე“**, სადაც ბავშვები გაეცნობიან საინტერესო ამბებს ინდიელთა ტომებზე და პრაქტიკულ ნაწილში დაამზადებენ ინდიელების ტრადიციულ ატრიბუტს – სიზმრების მჭერს.

2016 წლის თებერვალ-მარტში აბრეშუმის მუზეუმის საგანმანათლებლო გუნდმა განახორციელა პროექტი **„მუზეუმი სკოლაში“**, რაც გულისხმობდა წინასწარ მომზადებული მასალის საშუალებით ბავშვებისთვის, ზოგადად, ცნება მუზეუმის გაცნობას, მისი მნიშვნელობის წარმოჩენას საზოგადოებისთვის. ასევე, კონკრეტულად აბრეშუმის მუზეუმის ცნობადობის ამაღლებას. საგანმანათლებლო გუნდი აქტიურად თანამშრომლობს არა მხოლოდ თბილისის, არამედ რეგიონის სკოლებთანაც. უკვე სამი წელია

მუზეუმი, წლიური სტატისტიკის მიხედვით, ავლენს სამ ყველაზე აქტიურ სკოლას. მართავს საზეიმო მიღებას სპეციალურად მათთვის, აჯილდოებს საპატიო სიგელითა და მუზეუმის ბეჭდური მასალით. 2016 წლის აქტიურ სკოლებად დასახელდნენ **„ნიუტონის თავისუფალი სკოლა“**, **თბილისის 55-ე საჯარო სკოლა** და **მე-6 საავტორო სკოლა**. სულ რაღაც 3 თვე დარჩა 2017 წლის დასრულებამდე და ჯერ კიდევ არის საკმარისი დრო იმისთვის, რომ ეწვიოთ მუზეუმს, მონაწილეობა მიიღოთ მრავალფეროვან პროგრამაში და მიიღოთ 2017 წლის ყველაზე აქტიური სკოლის სტატუსი.

მუზეუმს, მის საგანმანათლებლო საქმიანობას ხელმძღვანელობენ მუზეუმის დირექტორი, გამოცდილი და გამორჩეული პიროვნება **ნინო კუპრავა**, საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის აქტიური ახალგაზრდა მუშაკები **მარიამ გოჩელაშვილი** და **თინათინ ყიფიანი**.

ჩვენს მკითხველებს, განსაკუთრებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ვურჩევთ აქტიურად ჩაებნენ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის საგანმანათლებლო საქმიანობაში.

რომან მოსეშვილი

მუზეუმის საკონტაქტო ტელეფონებია: 577743055, 555948303.

ადამიანი თავის ადგილზე

ცხოვრების მიზანი – მოყვასის ჯანმრთელობა

არიან ადამიანები, აქეთ-იქით რომ აწყდებიან, ვერა და ვერ გაუცნობიერებიათ, რისთვის მოავლინა ამქვეყნად მამაზეციერმა. ზოგი, ბოლოს და ბოლოს, დაადგება ხოლმე სათავისო სავალს, მავანნი კი სიცოცხლის ბოლომდე ან – ეძებენ მას, ანდა პასიურად მიჰყვებიან ცხოვრების დინებას.

მაგრამ არიან ისეთებიც – და სწორედ ასეთები განაპირობებენ ძალზე ხშირად ქვეყნის აღმშენებლობას – ვინც თავიდანვე უწყის რა სურს, რა უნდა აკეთოს ხალხის, სამშობლოსათვის და მტკიცედ, მიზანმიმართულად მიიწევს თავისი დანიშნულების განხორციელებისაკენ.

...ასაკი რომ გავიგე, გავოცდი. მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამედიცინო მასაჟის სკოლა „ავანის“ დირექტორი 83 წლის ბატონი **ნიკოლოზ ავალიანი** ძალზე მხნედ გამოიყურება და მიხრა-მოხრა, მოძრაობა, ასაკთან შედარებეით, გაცილებით ახალგაზრდული აქვს.

იგი სწორედ ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ჭაბუკობიდანვე დაისახა მიზანი და მთელი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა სათანადო ცოდნა-გამოცდილების შეძენა-დაგროვებას, რათა მოყვასის ჯანმრთელობისთვის მოეხმარებინა.

1957 წელს დაამთავრა ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ტანვარჯიშის მწვრთნელის სპეციალობით, მაგრამ გული იქით მიუწევდა, სადაც ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას შეძლებდა – სამკურნალო ფიზკულტურისკენ. სტუდენტობისასვე ჰქონდა მეცნიერული მუშაობისკენ ლტოლვა, ალღოიანობა და დაუძლეველი სურვილი გამოსდგომოდა ქვეყანას. გამოსდგომოდა არა განყენებული ცნებების რახარუხით, არამედ პრაქტიკულად.

დასტური: გამოიკვლია და დაადგინა, რომ სკოლის მოსწავლეებს, თუ მე-3-4 გაკვეთილი ფიზკულტურა არა აქვთ, არტერიული წნევა მაღლა ეწევათ. სათანადო მოხსენებაც წაიკითხა ლენინგრადში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

ეგებ, განათლების სამინისტრომ ახლა მაინც გაითვალისწინოს ბატონი ნიკოლოზის ოდინდელი მიგნება და კომპიუტერებს მთელი დღეებით მიჯაჭვულ ყმაწვილებს სკოლებში მაინც მიეცეთ ფიზიკური აქტიურობის მეტი საშუალება.

დასტური: სტუდენტობისასვე მიაღწია, რომ ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების კოლეგიებზე მოესმინათ მისეული **„საერთო ფიზიკური მუშაობის უნარიანობის დონის განსაზღვრა“.**

ცხადი იყო, სად მიიყვანდა ასე ცხოველი ინტერესი ახალგაზრდას და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა თბილისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტად. მალე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში აიმაღლა კვალიფიკაცია და სამსახური ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განაგრძო სამკურნალო ფიზკულტურის უფროს მეთოდისტად.

იმხანად გაიცნო უნიკალური სპეციალისტი, ძალზე საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ქალბატონი **ალვინა გებელი**, ვისაც დაუმოწაფდა და, ბატონი ნიკოლოზის თქმით, ახლა იმას ასწავლის მოსწავლეებს, რაც ამ ვირტუოზისგან შეიძინა 4 წლის მანძილზე.

ორიოდ სიტყვა ქალბატონ ალვინაზე: იგი პირველი სამამულო ომის შემდეგ შემორჩა აქაურობას. რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობდა მასაჟისტად. თვით სტალინისა და ბერიას პირადი მასაჟისტი გახლდათ და თბილისიდან მოსკოვში სპეციალური თვითმფრინავით ჩაჰყავდათ ხოლმე.

აი, ასეთი დიდებული სპეციალისტის შეგირდი გახლდათ **ნიკოლოზ ავალიანი** (რაც, თავისთავად, უკვე ძალზე ბევრს ნიშნავდა, რადგან გერმანელი ქალბატონი ერთობ „მომჭირნე“ გახლდათ მოსწავლეების აყვანაზე). აშკარად დაუფასდა შრომა ქალბატონ გებელს: ბატონი ნიკოლოზის ერთ-ერთი თანამდებობა სსრკ ნაკრები გუნდების სამეცნიერო-მეთოდური და მედიკო-ბიოლოგიური უზრუნველყოფის მწვრთნელ-კონსულტანტობა იყო. იგი საქართველოს ყველა ოლიმპიურ ბაზას კურირებდა. ასეთი სპეციალისტი კი მთელ საბჭოთა კავშირში ოთხად-ოთხი გახლდათ. შემდეგ იყო საქართველოს სპორტკომიტეტი, „ლეჩკომბინატი“, ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორობა, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი...

ვინ მოთვლის, რამდენი, თითქოსდა ლოგინს სამუდამოდ მიჯაჭვული დაუყენებია ფეხზე, რამდენი განუკურნავს ამა თუ იმ დაავადებისგან ბატონი ნიკოლოზის ჯადოქარ ხელებს, სიკეთის ქმნის დაუოკებელ სურვილზე დაფუძნებულ მის უნიკალურ ცოდნასა და გამოცდილებას.

ცხოვრების თანამგზავრადაც ასეთივე მისწრაფებების პიროვნებას შეახვედრა ბედმა. ქალბატონმა **ლია ავალიანმა-ჩახვაშვილისამ** ჯერ საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა მხატვრული ტანვარჯიშის პედაგოგის სპეციალობით, შემდეგ – ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი სამედიცინო საქმის სპეციალობით და 1993 წელს იწყებს მუშაობას თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე ექიმ-რეანიმატოლოგად. არის „ავანის“ პედაგოგი, სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი.

ბატონი ნიკოლოზის უნიკალური ცოდნა ასევე უნიკალურ სახელმძღვანელოებად: **„სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდიკად“, „მანუალურ თერაპიად“** (ქართულ და რუსულ ენებზე) და 50-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომად „ჩამოისხა“.

ცხადია, დადგა დრო, როცა **ნიკოლოზ ავალიანს** უზარმაზარი გამოცდილების გადაცემა ახალგაზრდებისთვის მოუნდა. სრულად ჰქონდა შეგნებული სამკურნალო მასაჟის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ბევრი სპეციალისტი ხომ გაცილებით მეტ პაციენტს განკურნავდა, ტანჯვას შეუმსუბუქებდა.

და 1990 წელს დააარსა კიდეც სამედიცინო მასაჟის სკოლა **„ავანი“** (თუმცა, მაშინ სხვაგვარად ერქვა, მაგრამ ეს სასწავლებლის არსს არა ცვლის).

იქიდან მოყოლებული, სკოლამ მასაჟის ასობით სპეციალისტი აღზარდა. აქ ექიმებიც მოდიოდნენ და მოდიან ბატონი ნიკოლოზის უნიკალური მასაჟის საიდუმლოებებთან საზიარებლად, რადგან ეს ძალზე უწყობს მათ ხელს ნაყოფიერ მუშაობაში.

სკოლის აღზრდილები მრავლად მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, საზღვარგარეთ. სადაც მასაჟისტს დაინახავ, აუცილებლად ამ სკოლის კურსდამთავრებულია.

ისწავლება: **პროფესიული მასაჟი (სამკურნალო, ჰიგიენური, კოსმეტიკური და სპორტული); ტაილანდური (სპეციალისტთა აღიარებით, ჩვენი სპეციალისტები უკეთ მუშაობენ, ვიდრე ჩინელები); პლანტარული (მასაჟი-ფეხებით); აკუპუნქტურა (წერტილოვანი); კინეზიოთერაპია (მკურნალობა მოძრაობით); მანუალური (თითებით), დიაგნოსტიკა.**

მაგრამ უკეთეს სპეციალისტებად რომ ჩამოყალიბდნენ, საამისოდ ფართო სამედიცინო განათლება, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებაა საჭირო და, ზემოჩამოთვლილ ძირითად სპეციალობებთან ერთად, ისწავლება: **ანატომია, ფიზიოლოგია, ლათინური** და **ინგლისური ენები. ინფორმატიკის საფუძვლები, ფარმაკოლოგია, მედდის საქმე, ორთოპედია, ტრავმატოლოგია, შინაგანი და ნერვული დაავადებები, პედიატრია, მეანობ-გინეკოლოგია, კანის დაავადებები, ფიზიოთერაპია, ბალნეოთერაპია, აკუპრესურა.**

ასე მომზადებულმა მასაჟისტმა ზუსტად იცის, როგორ და სხეულის რომელ ნაწილებზე ზემოქმედება გამოიღებს საუკეთესო შედეგს.

სკოლის საერთაშორისო აღიარების კონკრეტული მაგალითი: ოდესაში გაიმართება მასაჟისტთა უკრაინის ღია ჩემპიონატი. მასში მონაწილეობის მისაღებად პირველად მიიწვიეს საქართველოდან სკოლის 4 აღსაზრდელი. მათ ქალბატონი ლია უხელმძღვანელებს. ჩვენი გაზეთის გამოსვლისთვის ჩემპიონატი უკვე დამთავრებული იქნება და შედეგსაც შევიტყობთ. გვჯერა, იქაც აუცილებლად ისახელებენ თავს.

ბატონი ნიკოლოზი კი კვლავ ძიებაშია. ა. კაკულიას სახელობის ფიზიოთერაპევტთა და ევროპის ფიზიკური და სარეაბილიტაციო მედიცინის ასოციაციის წევრმა, პროფესიული მასაჟის ასოციაციის შექმნა გადაწყვიტა. სჯერა, რომ ასოციაცია ხელს შეუწყობს მასაჟის განმტკიცებას. გადაწყვიტა და დააარსა კიდეც **„აურა+“**-ის ხელმძღვანელ ქალბატონ **რუსუდან მემარნიშვილთან** ერთად.

სავარაუდოდ, ბატონი ნიკოლოზი კვლავ მოიფიქრებს რამეს საყვარელი საქმის დახვეწასრულყოფისათვის, რაც კიდევ უფრო აამაღლებს სკოლის მოსწავლეთა მომზადების დონეს. ეს კი, თავისთავად, ადამიანთა გაჯანსაღების უკეთესი გარანტი იქნება.

ნიკოლოზ ავალიანმაც ხომ ეს დაისახა ცხოვრების მიზნად – ხალხის ჯანმრთელობისთვის განუხრელი ზრუნვა.

კონსტანტინე გურგენიძე

ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲣᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲡ

ჩვენი გაზეთის სტუმარია 119-ე საჯარო სკოლა, რომელიც ავჭალის დასახლებაში ფუნქციონირებს და, პერიფერიულობის მიუხედავად, დედაქალაქის სხვა სკოლებს, ნამდვილად უტოლდება დისციპლინითა და სწავლის ხარისხით. როგორც გვითხრეს, სკოლა გამოირჩევა წესრიგითა და უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით კმაყოფილი არიან მოსწავლეებიცა და მშობლებიც.

სკოლას უკვე შვიდი წელიწადია ხელმძღვანელობს **პაატა რაზმაძე**, რომელიც გამოირჩევა პროფესიონალიზმითა და შესანიშნავი მენეჯერული თვისებებით. ბატონი პაატა პროფესიით ისტორიკოსია, პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს და ამჟამადაც აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას. იგი, წლების წინ, 48-ე საჯარო სკოლის პედაგოგი და დირექტორის მოადგილე იყო სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

პაატა რაზმაძე: „ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში 119-ე სკოლაში ბევრი რამ გაკეთდა და პირობების გაუმჯობესების გამო, მოსწავლეთა რაოდენობამ მოიმატა: შარშან – 360 იყო, წელს კი, – 400-ზე მეტია. სკოლა იმდენად უსაფრთხო და საიმედოა, რომ ყველა მანდატურმა (ყოფილმაც კი) აქ მოიყვანა შვილები. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, სკოლის ბიუჯეტის ხარჯით, თანდათან მოვაწესრიგეთ კაბინეტები, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საკლასო ოთახები, სველი წერტილები და ბუფეტი. შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია და გამოეცვალა სახურავი. სკოლა მეწყერსაშიშ ზონაში იყო და ეს პრობლემაც მოვაგვარეჩავატარეთ სერიოზული გამაგრებითი სამუშაოები და მოვახერხეთ გრუნტის გატანა. ასე, რომ ჩვენი სკოლა ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა.

იმედია, სამომავლოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით, ყველა სხვა პრობლემასაც მოვაგვარებთ. სასწავლო პროცესის მხრივ, ყველაფერი კარგად არის. გვყავს მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სკოლაში მოსწავლეებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ. მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული და ერთმანეთთან მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულება აქვთ. გვყავს წარმატებული მასწავლებლები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით, აქტიურობითა და ინოვაციების დანერგვით. 27 პედაგოგი მუშაობს, აქედან – 9 სერთიფიცირებულია; სულ 7 საგნობრივი კათედრა ფუნქციონირებს. გაგაცნობთ კათედრის ხელმძღვანელებს: ქართული ენისა და ლიტერატურის – **ზეინაბ დვალი**, საზოგადოებრივი მეცნიერების – **მაია პაიჭაშვილი**, მათემატიკის – **ლია ძულიაშვილი**, საბუნებისმეტყველოს – **ლუარა იმნაძე**, დაწყებითების – **ბელა გურგენიძე**, ესთეტიკური აღზრდის – **მზევინარ ფრიდონაშვილი**. ყველა კათედრა წარმატებით მუშაობს. მაგალითად, შარშან, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მონაწილეობდა გლდანის რაიონის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, **„ვეფხისტყაოსნის“** საიუბილეო თარიღის გამო. კონკურსანტებს შორის, ჩვენი მოსწავლეები ასაკით ყველაზე პატარებ იყვნენ. მიუხედავად ამისა, მაღალი შედეგები აჩვენეს და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ასევე, სკოლაში გაიმართა **„ვეფხისტყაოსნის“** კითხვის კვირეული. მთელი კათედრა იყო ჩართული. ქართული ენის პედაგოგმა **მეგი მდინარაძემ** ჩაატარა შესანიშნავი ღონისძიება: **„ვეფხისტყაოსანი“ და საქართველო“**, რომელსაც ესწრებოდნენ სტუმრები გლდანი-ნაძალადევის გამგეობიდან. აგრეთვე, ნაყოფიერი იყო საზოგადოებრივი კათედრის საქმოანობაც. პედაგოგების: **მაკა ბრეგვაძისა** და **მაია პაიჭაშვილის** ინიციატივით, სკოლამ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო არქივის მიერ ორგანიზებულ ინტელექტუალურ კონკურსში: **„საქართველო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“**, სადაც 76 სასწავლებელი მონაწილეობდა, ჩვენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გადაეცათ სიგელები და მადლობის ბარათები. ასევე, აღსანიშნავია მე-8 კლასში გამართული ღონისძიება – **„ასე უყვარდათ უწინ“**, რომელიც ჩაატარა ისტორიის პედაგოგმა **მაკა ბრეგვაძემ**. სტუმრებს შორის იყვნენ ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **გიორგი კეკელიძე**, ასევე, გლდანის რაიონისა და საკრებულოს წევრები. ღონისძიებამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ პედაგოგ **მაკა ბრეგვაძის** თაოსნობით, 119-ე სკოლის დასმა მონაწილეობა მიიღო **„არტ-სკოლა“** თეატრალურ ფესტივალში, სადაც მოსწავლეებმა წარადგინეს სპექტაკლი **„მიყვარხარ, საქართველო“**. ჩვენება გაიმართა **სანდრო ახმეტელის** სახელობის თეატრში, გლდანის რაიონის გამგეობის მხარდაჭერით. სპექტაკლმა მოიპოვა ნომინაცია **საუკეთესო მუსიკალური** გაფორმებისთვის.

მუსიკალურად გაფორმება ეკუთვნოდა **მაია შეიზაშვილს**. სწორედ ქალბატონ მაიას დამსახურება გახლდათ ის, რომ ჩვენმა სკოლამ 2016 წელს, საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ კონკურსში **„ვუმღერ სამშობლოს“**, პირველი ადგილი მოიპოვა და 1000-ლარიანი ვაუჩერით დაჯილდოვდა.

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, აუდიო-მასალებითა და კლასიკური თუ ახალი ლიტერატურით. ასევე, აქტიურად მუშაობს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ხელმძღვანელია **ნუკრი კილაძე**. თვითმმართველობის ინიციატივით მრავალი სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიება გაიმართა. სკოლა აქტიურადაა ჩართული 112-ის ნორჩ მაშველთა პროექტში, რომლის ფარგლებში **ნუკრი კილაძე** და **გაგი ბიბილური** ანაკლიაში იყვნენ. წარჩინებული მოსწავლეები, ასევე, ბელორუსიასა და აზერბაიჯანში იყვნენ. **ნინო სუარიშვილი** მონაწილეობდა **„მომავლის ბანაკში“**, საიდანაც მადლობის სიგელით დაბრუნდა. XI^ბ კლასის მოსწავლემ **გივი ქადაგიშვილმა** წარმატება მოიპოვა ინგლისურ ენაში ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე. მე-4 კლასელმა **ნინო ხოხობაშვილმა** კი **„კენგურუს“** ოლიმპიადაზე ქართულსა და მათემატიკაში პირველი ადგილი მოიპოვა **„კინგსის“** ოლიმპიადაზე, ინგლისურ ენაში პირველ ადგილზე გავიდა – **თორნიკე ხოკერაშვილი**. საქალაქო ზღაპრების კონკურსში მეორე ადგილი დაიმსახურა IV^ბ კლასის მოსწავლემ **გ. ლაზვიაშვილმა**. **ნუცა ცუცქირიძემ**, კონკურსში **„ჩვენ ვსწავლობთ კავკასიას“**, 26 სკოლის წარმომადგენლებს აჯობა და პირველი ადგილი მოიპოვა. ასეთივე წარმატება ხვდა წილად დაწყებითი კლასის მოსწავლეს **თიკო იარაჯულს,** რომელმაც ხელნაკეთი სათამაშოების კონკურსში გაიმარჯვა.

აქ ხშირად იმართება სხვადასხვა სპორტული აქტივობა და **„მხიარული სტარტები“**. მე-3 კლასელმა **თ. ხვლეურმა** პირველი ადგილი მოიპოვა. ფრენბურთში კი, ბიჭებმა – პირველი ადგილი, ხოლო გოგონებმა – მე-3 ადგილი, ფულადი პრიზები და სიგელები დაიმსახურეს. პედაგოგი გახლავთ **თემურ თედიაშვილი**.

გასულ სასწავლო წელს, ჩვენმა კურსდამთავრებულმა **ქეთევან გაზაშვილმა** ოქროს მედალი მოიპოვა და ილიაუნის უნივერსიტეტის 50%-იანი გრანტი აიღო, ხოლო **მარიამ იანტბელიძე** ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა და დედაუნივერსიტეტის უფასო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაგვიანებული ვერცხლის მედლები გადაეცათ **გიორგი ბუტიკაშვილსა** და **მარიამ ფანოზიშვილს.**

უნდა აღინიშნოს, რომ 119-ე საჯარო სკოლა მოწოდებულია, ჯანსაღი და განათლებული თაობა აღზარდოს, რომელიც საქართველოს მოუვლის და სწორი გზით წაიყვანს, განაგრძობს ტრადიციებსა და გაუფრთხილდება ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს.

ᲛᲖᲘᲐ ᲒᲝᲒᲝᲫᲔ

გზა კაცისა

მამულის სიყვარულით გულანთებული

ნათქვამია, კაცი მოკვდა, ჯერ თავს მოუკვდა, მერე – ცოლსა და შვილსაო.

მაგრამ – არიან, ვინც ერსა და მამულსაც მოუკვდნენ. მადლობა ღმერთს, ასეთი ღვაწლმოსილნი კარგა გვყოლია ქართველებს. სხვა ამბავია, რამდენად ვუსმინეთ მათს შეგონებას და დავაფასეთ მათი გონი და შემართება.

დიდი მეცნიერი **რაულ ჩაგუნავა** ერთი იმათგანია, ვინც ერსა და ქვეყანასაც მოუკვდა.

ძნელია მასზე წერა. ისეთი შეგრძნება გიპყრობს, თითქოს, რაც უნდა ბევრი თქვა, სათქმელი უფრო მეტი რჩებაო, მაგრამ პლატონის ოთხი სათნოებიდან, რასაც მართლმადიდებლობაც იზიარებს, ერთ-ერთი ზომიერებაა.

უაღრესად თავმდაბალი პიროვნება, სახარებისეული ვინც თავი დაიმდაბლოს, იგი ამაღლდესო, რომ გაიხადა მრწამსად, ვისაც აროდეს მოუთხოვია განსაკუთრებული პატივი, რუდუნებით, უაღრესი თავდადებით რომ მიუყვებოდა ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ სავალს, ითაკილებდა გადაჭარბებულ ქება-დიდებას. მაგრამ რაგინდ თავშეკავებული იყო, ბატონი რაულის მეცნიერული მემკვიდრეობა – კიდევ არის მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომები – იმდენად ტევადი და მრავალმხრივია, რომ თავისთავად ადასტურებს **რაულ ჩაგუნავას** მართლაცდა თვალსაჩინო ღვაწლს სამშობლოს წინაშე და ამაში გადაჭარბებული არაფერია – ეს წყალგაუვალი ფაქტია.

ადამიანის მუშაკობის ნებისმიერი სფერო და დარგი, თუ სინდისიერად ირჯება, სამშობლოს წინსვლაში შეტანილი, შესაძლოა, პანაწკინტელა, მაგრამ მაინც წვლილია. გლეხი იქნება თუ მუშა, ექიმი, პედაგოგი თუ ინჟინერი, როცა პატიოსნად ასრულებს მოვალეობას, ამით სამშობლოს წინსვლას განაპირობებს.

ცხადია, ასეა მეცნიერებაშიც. ბატონი რაული ქიმიკოს-ტექნოლოგი გახლდათ. თითქოსდა, საიდან სადაო, მაგრამ სპეციალობაში მიღწეულ გამორჩეულ წარმატებებთან ერთად, რაზეც შემდგომ მოგახსენებთ, მან ის გზაც გამონახა – 1979 წელს არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში ქიმიის ისტორიის ლაბორატორია ჩამოაყალიბა, რის ძირითად მეცნიერულ მიმართულებად ქიმიისა და მისი მონათესავე დარგების ისტორიულ-შედარებითი განვითარება განსაზღვრა – რომელიც ისტორიული პირველწყაროების, ძველი ფოლიანტებისა და საარქივო მასალების გამოწვლილვით, საგულდაგულოდ შესწავლით დავიწყების ბურუსიდან გამოიყვანდა დიდ ქართველ მოაზროვნეთა ღვაწლს და სათანადო ადგილს მიუჩენდა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა რიგებში.

ასე მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ მამულიშვილს შეეძლო ეაზროვნა და ემოქმედა. ამ გულქართლობამ ააღებინა ხელში იარაღი (1990-1993 წლები), ბატალიონ „თბილისელების“ რიგებში ჩააყენა და აფხაზეთში აბრძოლა.

ოჩამჩირის რაიონში, ცხენისწყალთან შევხვდი ამ ბატალიონის წევრებს. იმ სახლის ნანგრევებიც ვნახე, საიდანაც ფეხი ვერ მოაცვლევინა ბატალიონის მეთაურს შემოჯარულმა მტერმა. ცელა და ცელა ტყვიამფრქვევის ჯერებით მომხვდური და გმირულად დაეცა. სამწუხაროდ, არქივში ვერ მოვიძიე გაზეთ „რესპუბლიკის“ ის ნომერი, სადაც ამის თაობაზე დაიბეჭდა ჩემი წერილი. ამიტომ სახელებით ვერ მოვიხსენიე ეს გმირები. ბოდიშს ვიხდი მათს წინაშე. ვიცი, რომ ბევრი „თბილისელი“ დაეცა ვაჟკაცურად. **რაულ ჩაგუნავაც** მათთან ერთად იბრძოდა, მკერდით იცავდა მშობელ მიწას. ყველა გმირია – დაღუპულიცა და გადარჩენილიც!

პირველთქმულს მივუბრუნდეთ – სახელდობრ, რომელი მოაზროვნენი გამოიყვანა **დავიწყების ბურუსიდან რაულ ჩაგუნავამ? მათი რა ღვაწლი წარმოაჩინა**?

ზუსტ მეცნიერებებში, კვლევების თანამედროვე მეთოდებში ფრიად განსწავლულმა და განსაკუთრებული ლოგიკური აზროვნებით დაჯილდოებულმა მკვლევარმა, ისტორიული პირველწყაროების, ძველი ხელნაწერებისა და საარქივო მასალების შესწავლის, ასევე, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე შექმნა უმნიშვნელოვანესი ნაშრომები ასტრონომიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ფარმაციის, კალენდრის, ქრონოლოგიის, პალეოგრაფიის, გეოგრაფიის და სხვა დარგების ისტორიის შესახებ.

აღნიშნულ თემატიკებთან დაკავშირებით, ბატონ რაულს გამოქვეყნებული აქვს 18 მონოგრაფია, 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 16 დისერტაცია.

ფასდაუდებელია ბატონი რაულის ღვაწლი XIII საუკუნის დიდი სასულიერო და საერო მოღვაწის **ტბელი აბუსერის ძის** მათემატიკური, ასტრონომიული და კალენდარულ-პასქალური მოსაზრებებისა და დაკვირვებების შესწავლასა და გამომზეურებაში. ამ დიდი შრომის დადასტურებაა, თანაავტორებთან ერთად, 1998 წელს გამოცემული ფუნდამენტური მონოგრაფია **„აბუსერის ძე ტბელი. თხზულებანი“.**

რაულ ჩაგუნავამ 4 მონოგრაფია მიუძღვნა და დიდი ენერგია შეალია გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელი მეფის **ვახტანგ VI** (1675-1737 წ.წ.) ფაქტობრივად უცნობი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლასა და პოპულარიზებას. მკვლევარმა დაადგინა, რომ ვახტანგ VI მიერ ქიმიის დარგში შესრულებულ სამუშაოებში სხვადასხვა ქვეყნის ქიმიური რეცეპტებისა და საკუთარი ექსპერიმენტებისა და დაკვირვების სახით თავმოყრილია სახელმძღვანელოდ გათვალისწინებულ ნაშრომში **„წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნის“**, რომელიც იმ ეპოქის ევროპულ ტექნოლოგიურ სახელმძღვანელოებს ჩამოჰგავს. ეს წიგნი **„მთელი რიგი ქვეყნების ქიმიური შინაარსის საყურადღებო მასალებსაც შეიცავს“...**

2013 წლისათვის ბატონი რაულის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამთავრდა ვახტანგის „ქიმიის“ ძირითადი ტექსტის დადგენის სამუშაოები. კვლევების შედეგები გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა – **„პირველი ქართული წიგნი ქიმიაში“.**

ბატონმა რაულმა გამოიკვლია და დაადგინა, რომ ვახტანგ VI-მ შექმნა არითმეტიკისა და გეომეტრიის პირველი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოები. მეცნიერმა მეფემ პირველმა დაამუშავა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ვახტანგის მცდელობით, ქართლში ჩატარებული ასტრონომიული დაკვირვებებისა და ტოპოლოგიური აგეგმვის საფუძველზე მიღებული მასალა მოგვიანებით საფუძვლად დაედო ვახუშტის მიერ შესრულებული რუკების ატლასს.

ვ. ჯავრიშვილი, რ. ჩაგუნავა, ვ. პარკაძე, ა. ავალიანი

რ. ჩაგუნავამ, თანამოაზრეებთან ერთად, დაადგინა, რომ გამოჩენილმა ქიმიკოსმა პეტრე ბაგრატიონმა (1818-1876 წ.წ.) შეიმუშავა დენის გარეშე მოოქროების წესი, რომელიც ჩვეულებრივ ჩაყურსვის წესისგან განსხვავებით და ქიმიური აღდგენის მეთოდის ანალოგიით საგრძნობლად სქელი ოქროს დანაფარის მიღებას უზრუნველყოფს. მანვე შეიმუშავა ორიგინალური გალვანოსტეგიური მოოქროების წესი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა თუჯის მოოქროება, წინასწარ მასზე სპილენძის ფენის გამოლექვის გარეშე. ასევე, მოიპოვეს მტკიცებულება, რომ პ. ბაგრატიონმა ერთ-ერთმა პირველმა სამეცნიერო პრაქტიკაში დაიწყო გალვანური დენის გავლენის შესწავლა მცენარეთა ზრდაზე.

კვლევების საფუძველზე რ. ჩაგუნავამ დაამტკიცა, რომ გერმანელი ქიმიკოსი **ელსნერი**, რომელსაც ზოგი მეცნიერი სამეცნიერო ლიტერატურაში ოქროს ციანიდებსა და ფეროციანიდებში ხსნადობის აღმოჩენის პრიორიტეტს ანიჭებდა, პ. ბაგრატიონის უფრო ადრე გამოქვეყნებული სტატიით ხელმძღვანელობდა.

რ. ჩაგუნავას კოლეგებთან ერთად შესრულებულ ნაშრომში **„პეტრე ბაგრატიონი – გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“** ნაჩვენებია, რომ ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის, კალიუმის, ციანიდსა და ფეროკალიუმის ციანიდში ხსნადობის აღმოჩენით, მოოქროების ორიგინალური წესების შემუშავებით, პირველი მშრალი გალვანური ელემენტის კონსტრუირებითა და მისი პრაქტიკული გამოყენებით, პ. ბაგრატიონმა სამართლიანად დაიმკვიდრა ისტორიაში გამოჩენილი მეცნიერის სახელი.

მკვლევარმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო დონის ქიმიკოსის, რეპრესირებული პროფესორის **შალვა ცინცაძის** (1900-1937 წ.წ.) მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის, მისი წარმოჩენისა და მისთვის მეცნიერებაში კუთვნილი ადგილის მიჩენაში.

რ. ჩაგუნავას, თანაავტორებთან ერთად, მეცნიერების ისტორიის დარგში 2015 წელს საკონკურსოდ წარმოდგენილი საუკეთესო ნაშრომებისათვის **„შალვა ცინცაძის მეცნიერული მემკვიდრეობა“** და **„შალვა ცინცაძე – გამოჩენილი ქართველი მეცნიერი“** მიენიჭა **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემია.**

რაულ ჩაგუნავა 1938 წლის 24 ოქტომბერს დაიბადა თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა 53-ე საშუალო სკოლა. ჩაირიცხა მენდელეევის სახელობის მოსკოვის ქიმიური ტექნოლოგიების ინსტიტუტში. სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტიც დაამთავრა მყარი სხეულების ფიზიკის სპეციალობით.

ასეთ მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერის განვლილი გზის ჩამოთვლაც კი ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას. ერთს კი აღვნიშნავთ – სადაც უნდა ემუშავა, ყველგან გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, კეთილსინდისიერებითა და პრინციპულობით. ამიტომაც აირჩიეს 2005 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო წევრად, ხოლო 2006 წელს წლის საუკეთესო მეცნიერად დასახელდა და, იუნესკოს ეგიდით, ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. გვერდში ედგა მეუღლე, ნიჭიერი მეცნიერ-ქიმიკოსი, შემდგომში ქიმიის დოქტორი, მრავალი პუბლიკაციების ავტორი, ქალბატონი **დალი ოთიაშვილი**. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონი რაულის მრავალმხრივი მეცნიერული კვლევების წარმატებით განხორციელებაში.

ეგზიუპერის თქმით, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ბავშვობა კი ოჯახის გარეშე წარმოუდგენელია. ბატონი რაულის მშობლები სახელოვანი მეცნიერები იყვნენ. მამა – **ვლადიმერ ჩაგუნავა** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გახლდათ. დედა – **გალინა (გუგული) ასათიანი** საქართველოში ერთ-ერთი პირველი ინჟინერ-ტექნოლოგი ქალი იყო. და – **მედეა ჩაგუნავა** – ქიმიის დოქტორი.

აი, ასეთ „ტექნოლოგიურ“ ოჯახში იზრდებოდა ბატონი რაული. იქ ჩაეყარა საფუძველი მის ლტოლვას ტექნიკური მეცნიერებისკენ, მაგრამ იქვე ჩამოყალიბდა იგი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტად, ვინც თავსაც განსწირავდა ქვეყნის, ერის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის. ოჯახიდანვე წარიტანა საგზლად ის უზარმაზარი გულის სითბო, რაც ასე დააკლდათ მის კოლეგებს, მეგობრებს, მრავალ აღზრდილს.

და ძალაუნებურად მახსენდება აღმოსავლური სიბრძნე: „რამდენს მივიჩნევთ მიწაზე ცოცხლებად, მაგრამ ისინი მკვდრები არიან და რამდენს მივიჩნევთ მიწაში მკვდრებად, მაგრამ ისინი ცოცხლები არიან...“

კონსტანტინე გურგენიძე

თბილისის მე-60 საჯარო სკოლა — ევროსტანდარტების შესატყვისად

როცა გამოცდილ დირექტორს მხარს ძლიერი პედაგოგები უმშვენებენ

ამ სკოლის დირექტორი პედაგოგიურ სივრცეში კარგად არის ცნობილი. **შოთა მალაზონია** იმ

პლეადის რჩეული წევრია, რომელმაც გასული საუკუნიდან სახელოვნად იღვაწეს განათლების სისტემაში და, დღევანდელი პოპულარული ფრაზით თუ ვიტყვით, მუდამ მაღალ შედეგებზე იყვნენ ორიენტირებულნი. ოზურგეთის მე-3 სკოლის აღზრდილი (როგორც დღეს ხდება) სტუდენტის მერხიდან არ გამხდარა ხელმძღვანელი, თუმცა, მან დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. რიგითი პედაგოგობიდან დირექტორის თანამდებობამდე თავაუღებელი შრომით დაწინაურდა. ე. ი. ბატონ შოთას მეტად მდიდარი და საინტერესო ბიოგრაფია აქვს. მისი დირექტორობაც საინტერესო: დღეს დედაქალაქის მე-60 საჯარო სკოლას წარმატებით უძღვება, ასევე ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა 61-ე, 62-ე, 147-ე საჯარო (ადრე საშუალო ერქვა) სკოლებში. დღეს მას ერთგულად მხარში უდგანან მასავით გამობრძმედილი მოადგილეები **ნანა ჩოხელი** და **ნანა ლომთათიძე**. ასევე, დირექტორს მხარს უმშვენებენ მეტად ძლიერი პედაგოგები.

ჩემი აზრი, როგორც ჟურნალისტმა, აქვე უნდა გამოვხატო, რომელსაც პედაგოგთა არმია იზიარებს: დიდი უსამართლობა იყო. **„დამსახურებული“**, **„სახალხო“**, **„წარჩინებული პედაგოგის“** წოდებების გაუქმება, თითქოს ის იყო რაღაც საბჭოური, კომუნისტური გადმონაშთი. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, **რუსთაველის პრემიაც** იქაური გადმონაშთი ყოფილა. **„თბილისობა“ და „საპატიო თბილისელობაც“** საიდან მოდის?!

მე-60 საჯარო სკოლის ყველა მუშაკს ვულოცავთ სასწავლო წლის დაწყებას. როგორ დაიწყო იგი, რა შედეგები აქვთ გასული წლიდან, რა სიახლეებს უნდა ველოდოთ?

* * *

2017-2018 სასწავლო წელს სსიპ ქალაქ თბილისის 60-ე საჯარო სკოლაში გაიხსნა ხუთი პირველი კლასი. მათთვის მოეწყო საზეიმო ღონისძიება, მოწვეულნი იყვნენ მულტფილმების გმირები (ელზა, სპაიდერმენი, გოჭი პეპა და სპანჯბობი), რამაც ყმაწვილები ძალიან გაახალისა. სკოლა თითქმის მთლიანადაა რეაბილიტირებული, ახალი სასწავლო წლისათვის დასრულდა სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა.

ქალბატონი **ნანა ლომთათიძე** 1984 წლიდან მუშაობს სკოლაში, კურირებს საბაზო და საშუალო საფეხურების კლასებს. ამავდროულად, მათემატიკის პედაგოგია.

ნანა ჩოხელი 2013 წლიდან მუშაობს აქ. კურირებს დაწყებითი საფეხურის კლასებს.

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეა **ეთუნა ხაბურზანია.** 5 ოქტომბერს გაიმართა ახალი თვითმმართველობის არჩევნები და მისი ვინაობ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

შემოქმედებითად მუსაობს 7 საგნობრივი კათედრა. ქართული ენისა და ლიტერატურის (თავმჯდომარე – **მანანა ყაჭეიშვილი)**, მათემატიკისა და ისტორიის – **მანანა ქარდავა**, უცხო ენების – **ნინო ჯანიკაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერების – ქეთევან კერესელიძე, საბუნებისმეტყველო – **ქეთევან ლომაძე** და დაწყებითი განათლების – **ქეთევან ნაოჭაშვილი**.

შარშან სკოლას 5 ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა: **ირაკლი ამ-**

ბოკაძე, დავით ნონიკაშვილი, ხატია მერაბიშვილი, თინათინ კვიტატიანი, მარიამ მესხიშვილი.

100%-იანი გრანტით – **ირაკლი ამბოკაძე** ჩაირიცხა სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. **ანრი არახამია** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, **დავით ნონიკაშვილი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთო ჯამში, გრანტით, სხვადასხვა უნივერსიტეტში, 56 კურსდამთავრებულიდან, 41 ჩაირიცხა.

VII-X კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ინტელექტუალურ თამაშ **„ტვინების ბრძოლაში“**. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში (გავიდნენ ფინალში), სამოქალაქო ოლიმპიადაში (გავიდნენ ტურში). IX კლასის მოსწავლეები **ნინო აბრამაშვილი** და **ანი კვეკვესქირი „ეტალონის“** საბურთალოს რაიონის ფინალში გავიდნენ: ანი გავიდა ათეულში 150 000 ბავშვიდან, ხოლო ნინო საბურთალოს რაიონის **„მის ეტალონი“** გახდა. დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში **„მოვეფეროთ იაკობსა და დედაენას“**. მოსწავლეებს უნდა შეექმნათ პატარა წიგნები. სკოლიდან დააჯილდოვეს 6 მოსწავლე. განსაკუთრებით გამოარჩიეს III კლასის პედაგოგის **თამარ მუმლაძის** მოსწავლის **საბა სანოძის** წიგნი, რომელიც დაამზადა ბრაილის შრიფტით და მიუძღვნა თავის უსინათლო მეგობარს.

საბურთალოს რაიონის გამგეობამ სკოლებს შორის ჩაატარა ჩემპიონატი ფრენბურთში. სკოლამ I ადგილი და **„საბურთალოს თასი 2017“** მოიპოვა (პედაგოგი **ეკატერინე გიორგობიანი**).

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური გეგმის მიხედვით, გაიმართა სასკოლო შეჯიბრი კალათბურთსა და მხიარულ სტარტებში. (მანდატურები: **ნინო ქიმაძე** და **ანზორ გოგალაშვილი**, პედაგოგები: **დიანა მანგოშვილი, ეკატერინე გიორგობიანი, ტარიელ დეკანოიძე, მიხეილ ანდღულაძე**). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა სკოლას გადმოსცა მადლობის სიგელი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებისთვის.

სკოლაში განხორციელდა სპორტულ-შემეცნებითი პროექტი **„ნესტლე – ჯანსაღი ბავშვების“** ეგიდით. პროექტში მონაწილეობდნენ მესამეკლასელები, რომელთაც, მხიარული სპორტული შეჯობრის გარდა, მოაწყეს შემეცნებით-ინტელექტუალური ვიქტორინა; მონაწილეებს ჟიური აფასებდა ქულებით 7 სხვადასხვა ნომინაციაში: **„იდუმალი ყუთი“, „ეს საინტერესოა“, „ლამაზი სუფრა“, „ჰიგიენა და სამზარეულო“, „აბა, გამოიცანი“, „ლექსი – ანდაზა – გამოცანა“, „მხიარული სტარტები“** – საპნის ბუშტები ვირუსების წინააღმდეგ (მე-3 კლასების დამრიგებლები: **მერი ტულუში, ქეთევან შარაშიძე, ხათუნა წამალაშვილი და თამარ მუმლაძე**).

სკლამ მონაწილეობა მიიღო

საგანმანათლებლო ფესტივალ **„ოქროს საწმისში“.** კონფერენციაზე **„ბერძნული საზოგადოების კვალი საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაში“** მომხსენებელი იყო **გიორგი ჩხეიძე** (XI კლასი); ნაშრომის ხელმძღვანელი, ისტორიის პედაგოგი – **მარინე დავითულიანი**.

19 პედაგოგი ჩართული იყო G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში. მიიღეს დიდი გამოცდილება და შეიძინეს ახალი უანრ-ჩვევები.

პედაგოგები მონაწილეობენ **„მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტში“**, რომელსაც

ატარებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – **„საქართველო“.** შარშან სრული კურსი დაასრულა 4 პედაგოგმა, წელს მიწვეულია 13 სხვადასხვა საგნის პედაგოგი.

სკოლას ჰყავს Kings-ის ოლიმპიადაში გამარჯვებულები.

სკოლა მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ **პროექტში „თავისუფალი გაკვეთილები“** და დაფინანსება მიიღო 4 პროექტში: **„ხელნაკეთი წიგნები“** – ხელმძღვანელი **თამარ ყაჭეიშვილი, „არტ-თერაპია მოსწავლეებისათვის ხელოვნებაში“** – ხელმძღვანელი **ნანა გიგაური, „გაცოცხლებული ტილო – თბილისი ტოლერანტობის ქალაქი“** – ხელმძღვანელი **ეთერ ქუთათელაძე**, **„დეკუპაჟი – ძველი ნივთების განახლება“** – ხელმძღვანელი **მარინა გამცელიძე**. ოთხივე პროექტი წარმატებით მიმდინარეობს და ახალი სასწავლო წლიდან აქტიურად განაახლა მუშაობა.

სკოლის მოსწავლეები ჩაერთნენ **„მეცნიერებისა და ინოვაციების“** ფესტივალში, პროექტში – **„შეისწავლე ისტორია და გახდი მკვლევარი“** (პროექტის ხელმძღვანელი – **ქეთევან ჯვარშეიშვილი**). ფესტივალის ფარგლებში მოსწავლეებმა მოისმინეს მოკლე შემეცნებითი ლექცია **„ქართული ფარმაცია, მეცნიერება და წამალი – ტრადიციების პატივისცემით მომავლისაკენ“** და ჩაუტარდათ ექსკურსია – **იოველ ქუთათელაძის** ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში (ორგანიზატორი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი). ასევე, ფესტივალის ფარგლებში სტუმრად იმყოფებოდნენ სამხატვრო აკადემიაში. სკოლის პედაგოგებმა მიიღეს მონაწილეობა ესეების კონკურსში **„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“.**

სკოლაში 35 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა და თითოეული მათგანის სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიმდინარეობს. ამაში ეხმარებიან სპეციალური პედაგოგები: **თამარ ქიტესაშვილი, ქრისტინე გელბაქიძე, ნინო ცხადიაშვილი** და ფსიქოლოგი — **რუსუდან მინაშვილი**. მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა მიმდინარეობს რესურსის ოთახში. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა გაკვეთილს და უწევენ ასისტირებას სსსმ მოსწავლეებთან და კლასთან მიმართებაში. ასევე, აქტიურად მუშაობენ სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან. მათთან ინტენსიურად მიმდინარეობს კონსულტაციები სხვადასხვა საკითხზე.

სკოლა წელიწადში 2-ჯერ მასპინძლობს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ პროექტს, რომლის ფარგლებშიც მასპინძლობენ 3 სპეციალურ მასწავლებელს რეგიონებიდან.

შარშან 1 ივნისს, ბავშვა დაცვის საერთაშორისო დღეს, სკოლმ აღნიშნა სსსმ მოსწავლის **ალექსანდრე ჯოზეფ სმარტჩენის** ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიება მოაწყო კლასის ხელმძღვანელმა **ქეთევან შარაშიძემ**.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სასწავლო წრე: **ქართული ცეკვის (ხელმძღვანელი გიორგი ტალახაძე), სამეჯლისო ცეკვის (ია კვირიკაშვილი), კინგ ბოქსინგის (ავთანდილ ტალახაძე), კარატეს (მზეჭაბუკ მახარაძე), ჭადრაკის (ქეთევან შიუკაშვილი), კალათბურტის (ნიკა ბურჯანაძე), საესტრადო მუსიკის (ევა ბუჩაშვილი), მუსიკალური (გიტარა) (ირმა დევაძე-გარდაფხაძე), მუსიკალური (ფორტეპიანო) (ნათელა დავითაშვილი და მანანა ჯინჭარაძე).**

მე-60 საჯარო სკოლა ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული სკოლაა. სკოლა იბრუნებს თავის ძველ სტატუსსა და ავტორიტეტს. ამის დასტურია ის, რომ ყოველწლიურად სკოლაში იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა (2017-2018 სასწავლო წელს ირიცხება 1105 მოსწავლე) და კერსდამთავრებულებს წარმატებით ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ბორის მიშველაძე

გულიდან ამოფრქვეული სტრიქონები

ავტორისაგან

ანზორ მაჭარაშვილი

მახსოვს, დაწყებითი კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა პირველი ლექსი დავწერე, რომლითაც უდისციპლინო და ცელქ ბავშვებს წესრიგისაკენ მოვუწოდებდი.

ლექსი გამოსაქვეყნებლად მაშინდელ საბავშვო გაზეთ "ნორჩ ლენინელში" გავაგზავნე. არ დამიბეჭდეს, პასუხად მივიღე: კარგია, რომ თანატოლებს წესრიგისაკენ მოუწოდებ, მაგრამ, უკეთესი იქნებოდა, თუ თქვენი პიონერული ორგანიზაციის შესახებ მოგვწერ: რა წარმატებები აქვს თქვენს პიონერულ რაზმს სოციალიზმის წინსვლასა და გამარჯვებაში.

მაშინ პიონერულ ორგანიზაციასა და სოციალიზმზე დასაწერი თემა ვერ შევარჩიე და ამის შემდეგ ლექსების წერის სურვილიც აღარ გამჩენია.

აგერ, რა ხანი გავიდა და გამახსენდა ჩემი ბავშვობისდროინდელი მცდელობა, გამიჩნდა სურვილი გამომეცადა ჩემი თავი პოეზიაში. როგორ შევძელი ეს ერთი წლის განმავლობაში, შეფასებები მკითხველისთვის მიმინდვია.

ზოგჯერ ჯობს რევოლუცია!

არა გვაქვს კარგი შედეგი,
წინ ვიწევთ ნელი ტემპებით,
ევროპისაკენ ვისწრაფვით,
მანძილს გავდივართ მეტრებით.

ნუ ვიშველიებთ გამოთქმას:
„სიჩქარე დამღუპველია".
ეს მაშინ ხდება, როცა გზა
ცუდი და გალიპულია.

ბუნებას კანონები აქვს,
ციდან არ ცვივა ჩინები,
დიდი დრო გაგვყავს უსაქმოდ,
მიტომ ვერ ვხდებით მდიდრები.

გავაქტიურდეთ, ვიშრომოთ,
დავნერგოთ კარგი ჩვევები,
წარმატებული ქვეყნისგან,
გავიზიაროთ რჩევები.

გამოვიყენოთ რესურსი,
არ ვიყოთ სხვისი ხიზნები,
ბედნიერება იმას აქვს,
ვინც შეისრულა მიზნები

დროულად შედეგის მოსვლას,
აყოვნებს რევოლუცია,
წარმატებისთვის, წინსვლისთვის,
ზოგჯერ ჯობს რევოლუცია.

თბილისს

ბევჯერ გიტევდა დუშმანი,
ხან შინაურიც განგრევდა,
შენ კი იდექი ამაყად,
ღირსებას ვერავინ გაკლებდა.

მმართველი ბევრი გყოლია,
დანიშნულები სხვისგანა,
ახლა კი მერს გიწუნებენ,
ამორჩეულსა ჩვენგანა.

გემატებიან ხიზნები,
ჩვენებური და სხვა ქვეყნის,
სახლებიც ბევრი აშენდა,
ზოგი შენს ხედებს არ შვენის.

წამსვლელის რიცხვმაც იმატა,
გაუადვილდათ ვიზები,
შენც ყოფილიყავ მასპინძლად,
ყოველთვის გყავდეს სტუმრები.

გიმრავლოს მცოდნე პირები,
და პოლიგონი სასწავლო,
ისეთი ბაზა გქონოდეს,
უცხოელებსაც ასწავლო.

11.07.2017 წელი

ნუ მოინდომებ ის აკეთო, რაც გესურვება!

სხვადასხვა სახის ადამიანს აჩენს ბუნება,
ზოგი დიდია, ძლერი და ღონიერია,
ბევრი მცირეა, სუსტი და ხეიბარია,
უნიჭოც არის, ზოგი კი გონიერია.

სქესთა სხვაობას მკაცრად იცავს გამჩენი ღმერთი,
რითაც მყარდება თაობების ცვლათა ფუნქცია,
დამღუპველია ყველა პირის ერთ თარგზე მოჭრა,
ახლო წარსულში მას სიკეთე არ მოუცია.

არ არის კარგი მოისურვო იყო, რაც არ ხარ,
მკრეხელობაა ქალის კაცთან თანასწორობა,
ღმერთმა მათ მისცა ფიზიკური სხვადასხვაობა,
უნდა დავიცვათ გენდერული წონასწორობა.

ყველა ინდივიდს უნდა ჰქონდეს თავის ადგილი,
ნუ მოინდომებ ის აკეთო რაც გესურვება,
უნარ-ჩვევებით შეასრულე, რაც გაქვს მისია,
შენი სიხარბით არ აღკვეთო სხვისი უფლება.

და თუ უღირსებს მიეცემათ ყველაფრის ნება,
ყველა ისურვებს პრეზიდენტის სკამზე დაჯდომას,
აღარ ექნება ინტერესი სწავლას და შრომას,
კარგი შედეგი არ ექნება ასეთ მიდგომას.

4.08.2017 წელი

უნდა დაბრუნდეს მთაში მთიელი!

მოსახლეობა მცირდება სოფლად,
ბევრი ქალაქში არის წასული,
გამოუცვლიათ ცხოვრების წესი,
ზოგი სხვა ქვეყნად არის გასული.

დარჩენილები შრომობენ თვისთვის,
აღარ აქვთ მსხვილი მეურნეობა,
თითო ოჯახად განლაგებულებს,
არ უნდათ სხვისი ქვეშევრდომობა.
გამოცდილია, რომ მაღალ შედეგს,
ერთობა გვაძლევს და წინგაძღოლა,
ფუტკრის ოჯახი უდედოდ ქრება.
უმხედარმთავროდ ჯარს უჭირს ბრძოლა.

ჩვენს ძველ წარსულში ყოველ მიწა-წყალს,
ჰყავდა პატრონი ანდა მფლობელი,
მდიდარ თავადის ადგილ-მამულში,
გამრჯედ შრომობდა ბევრი სოფლელი.

უნდა ვეცადოთ, ველებს და ქალებს,
რომ გამოუჩნდეს მასზე მზრუნველი,
უფალმა მოგვცა არსებობისთვის,
უნდა დაბრუნდეს მთაში მთიელი.

15.06. 2017 წელი

შეფასებები ვაკეთოთ სწორი

ცუდი მიდგომა დამკვიდრდა ჩვენში,
სიცრუე გახდა ბევრისთვის ნორმა,
ქების საგანი გამხდარა მხოლოდ,
ჩაცმა, პოსტი... და სხეულის ფორმა.

ვისაც რომ უნდა პოპულარობა,
ინტერესდება გარეგან შარმით,
იცვავს მოდურად, განსხვავებულად
და თავს იწონებს გაცვეთილ შარვლით.

თანამდებობა უნდათ ზემდგომი,
მაღლიდან ცქერა პრესტიჟულია,
ცოდნა – „დაბალი", პოსტი – მაღალი,
ასე წინ წასვლა ძალზე ძნელია.

ბუნება აძლევს ბევრს სილამაზეს,
ზოგს კი სჭირდება ღრმა კორექცია,
სხეულის ფორმის მოწონებისთვის,
მრავლად კეთდება ოპერაცია.

მღვდელი ქილოფში იცნობა ყველგან,
ნუ გადმოვიღებთ სხვის ცუდ თვისებას,
შეფასებები ვაკეთოთ სწორი,
გარჯა და შრომა მოგვცემს ღირსებას.

21.06.2017 წელი

ვახაროთ ნერგი წარმატებების

იყო დრო, როცა უცხო ქვეყნებთან,
არ გვქონდა კარგი ურთიერთობა,
წასვლა, – ჩამოსვლა იზღუდებოდა,
ცუდად მიაჩნდათ სხვასთან ერთობა.
უცხო პროდუქტებს ფარულად ყიდდნენ,
რადგან ხარისხი ქონდა მაღალი,
ხალხს სთავაზობდნენ ადგილობრივებს,
რაც იყო დონით ძალზე დაბალი.
ახლა კი, როცა განვთავისუფლდით,
აღარ გვჭირდება ფარული ხელი,
სავაჭრო ქსელში, რაც გსურს, შეიძენ,
ფული თუ გყოფნის, არ არის ძნელი.
მაგრამ ნაწარმი სავაჭრო ქსელში,
ქართული არ ჩანს ახალი მოდის,
ამდენი ხნის ვართ და ვერ გავიგეთ,
კარგი შედეგი, რომ ცოდნით მოდის.
უნდა ვისწავლოთ და სხვასაც ვკითხოთ,
როგორ წარვმართოთ საქმის მსვლელობა,
ტრეინინგებით, სიმპოზიუმით,
ჩვენთან დავნერგოთ სხვისი მცდელობა.
და რომ ხარისხი გვქონდეს მაღალი,
გარემო შევქმნათ ნაყოფიერი,
ვახაროთ ნერგი წარმატებების,
და შეუცვალოთ მამულს იერი.

27.07.2017 წელი

რედაქციისაგან: ანზორ მაჭარაშვილი განათლების სისტემის დამსახურებული, ღვაწლმოსილი მუშაკია. მის მიერ კაცურად, პრინციპულად განვლილ ცხოვრებისეულ გზაზე რამდენიმე თვის წინათ წერდა ჩვენი გაზეთი და რამდენიმე ლექსიც გამოუქვეყნა. სამი კოლეჯის დამაარსებელს კვლავაც და კვლავაც აწუხებს ქვეყნის აწმყო და მომავალი. თავისი ნააზრევი ლექსებად ჩამოაყალიბა და მკითხველს სთავაზობს გაიზიაროს მისი მოქალაქეობრივი პათოსი და პუბლიცისტური გამჭრიახობა.

ამ გზაზეც ვუსურვებთ წარმატებებს კაცს, ვინც თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდის ერთობ რთულ და საპატიო საქმეს მოახმარა.

სამშობლოზე შეყვარებული

ჩვენი სტუმარი პედაგოგი და პოეტი, **ია ეკელი ქანთარია** გახლავთ.

იას ნამდვილი სახელი მაიაა, წლების წინ, გაზაფხულზე მერვე შვილად მოევლინა დედას, რომლის მონატრების გამოც პოეზიაში გადაწყვიტა შემოსვლა...

მას არ ჰქონია ფერადი ბავშვობა, რადგან ცხრა დედმამიშვილიდან ორი ძმა აკლია... უფროსი ძმა 21 წლის ასაკში ტრაგიკულად დაეღუპა. ია ამბობს, რომ წლობით დაჰყვებოდა პატარა ბავშვი დედას სასაფლაოზე, რათა გაემხნევებინა და ენუგეშებინა გულდამწვარი დედა...

დედა სამეგრელოს ულამაზესი სოფლიდან ეკიდან იყო, ამიტომ აირჩია ეს ფსევდონიმი. თუმცა, ღიმილით ამბობს „ედუარდ ეკელი მეთრვამეტე საუკუნის ავსტრალიელი ნუმიზმატი იყო''ო... ის თავად ისტორიის მასწავლებელია და ფიქრობს რომ მისი სახელი მსოფლიოს თუ არა, მშობლიურ ეკს მაინც მოეფინება...

ია არის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი ასევე, კონკურისი „მე და აფხაზი“-ს გამარჯვებული.

გამოქვეყნებული აქვს პუბლიცისტური წერილები. არის ერთი პოეტური და ერთი პროზაული წიგნის ავტორი, რომელიც გამოიცა 2016 წელს გამომცემლობა „ტრაისის” (რედაქტორი მზია ხეთაგური) მიერ. მისი ლექსები შესულია, „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიაში. როგორც თავად ამბობს, თითქოს, აღთქმა შევასრულე საკუთარი თავისა და ბავშვობის წინაშე...

გაზაფხულზე, მწერლის სახლში ჩანიშნულია მისი შემოქმედებითი საღამო. 27 აგვისტოს ბათუმში ჩატარდა ია ეკელის შემოქმედებითი საღამო, „აჭარწიგნის“ ლიტერატურული კაფის მიწვევით. უახლოეს მომავალში აპირებს დოქტორის ხარისხის მოპოვებას, დისერტაციის თემა საიდუმლოდ შეინახა, მინიშნებად „კირბები და ოქრომრავალი კოლხეთი“ ახსენა...

ია ჩოხოსნის ფიცის დადებისთვის ემზადება და ფიქრობს რომ, საქართველოს გზა „ლელთ-ღუნიას“ გზაა...

გთავაზობთ ია ეკელის რამდენიმე ლექსს...

მის ლექსებზე დაიწერა სიმღერები... წარმატებები სამი შვილის დედას, კარგ მეუღლეს და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ პოეტს...

ქუდნისლას მთა

კვალზედ მივდივარ ჭიუხებს,
უკუნი ღამე მთვარეობს...
მთას აველ, მერე ვიქუხე,
„ჩემო სამშობლო მხარეო”.
ეჟვან წკრიალებს დაღმართზე,
სამდურავს ბევრი გიამბობთ...
სანთლებ ანთებულ ტაძარზე,
ცისკრის ვარსკვლავი კიაფობს.
თირუზანს მთაში ეძინა,
სინდურისძე კი ნადირობს...
ცას ნისლი გადაეფარა,
ქალაი მთაში მარტვილობს.
სიპის ქვას, ქვა-ღორღს გავეცალ,
ია-ია ვარ მოსული...
ხევისბერს დასტურ მაეცა,
ცხენით ვარ მთას ამოსული.
არწივ, მოფრინდა ფრთამალი
და ფრთები შამომაწვია....
ქარმა მამტაცა თავშალი,
იქ წვიმას, შაუნახია.
ქუდნისლას მთაზე ავედი,
ჭალა მოჩანდა შორიდან...
ღრუბლების ჯაჭვში ჩავები,
თითქოს მოვედი ბრძოლიდან.
საარაგვოზე ერისთავს,
ზაალს შაუყრის ხალხია...
წარსულის კარგიც და ცუდიც,
აქ, მაწმაოში მარხია.
თორღვას ცხენ შაუკაზმია,
სისხლის წილ უნდა იდაოს...
მერე, ატირდა დიაცი,
კაი ყმა წამივიდაო.
მუცოდან ნისლნი მოდიან,
ჯვარიკარს ხატებ შავთხოვე...
სანამ ჯერ კიდევ ომია,
საწუთროს კიდევ დამტოვე.
მერე, კოლხეთის მიწიდან,
ჰელიოსის ძეს გავძახებ...
შატილს მშვიდობას ვიტყვი და
სიცოცხლეს აქ დავამთავრებ.

წიწამურთან

წიწამურთან წამი შეწყდა, მზე გაქვავდა ილია,
ჩახმახიდან ტყვიის სროლა, ჟამის შეძახილია,
გული ჩვენთვის ისევ ფეთქავს,
ჯერაც ისევ თბილია,
სამშობლოსთვის თავგანწირვა,
მწარეა და ტკბილია.
საგურამოს გზაზე ფიქრი, რა უმანკო ჩვილია,
ბოროტების გასაყართან, იუდას აჩრდილია...
და ანთებულ სანთლად ყოფნა, მერე რა ადვილია,
მთაწმინდაზე მიწა ახლაც, ბამბასავით რბილია.
ახლაც გზა ვერ გვიპოვნია,
მგზავრი კვლავ დაღლილია,
გაიღვიძე „ლელთ-ღუნია“, ახლა რა დროს ძილია...
მედროვეთა შეძახილი, სხვა მამლის ყივილია,
ქრონიკების გასაყართან, ახლაც ის ჩივილია.
საგურამოს ყვავილები სამშობლოს ღიმილია,
გზის განაპირს მივყევი და გზები ჩამოშლილია...
ვინ თქვა, ჩვენთან აღარ არის,
თითქოს გარდაცვლილია...
მისი სულით ჩვენი მოდგმა, ზეცად გამოხსნილია,
თერგთან მყინვარს შვცქერი და
„ზღვა კოშკით დაილია“,
წარსულიდან მომავლისკენ ზღვარი,
კვლავ წაშლილია.
გულში ვნატრობ, ნეტა სად ხარ,
რას გვირჩევდი ილია...
საქართველო მაინც ცოცხლობს,
კვლავ ღვთისმშობლის წილია!

ჩვენი მეგობარი – „მისტერ-მასტერი“ – ზურაბ შაუთიძე სოლიდური ასაკისა გამხდარა

ზემელზე, დიდი რუსთაველის ძეგლის მიღმა, კარგა შემაღლებულზე, საოცარი ეზოა. ცოტა ხნის წინათ აქ ორი დიდი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიისა, ორი რედაქცია – ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებისა“ და გაზეთ „სახალხო განათლებისა“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-პედაგოგიური ბიბლიოთეკა, საქართველოს პედაგოგთა კავშირი იყო განლაგებული. და ეს ყველაფერი ერთ პატარა ეზოში! თუმცა, ეს როდია მთავარი. ამ ეზოში დიდი ადამიანები იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და ცხოვრობდნენ. ამ პატარა „დიდ ეზოს“ ახლა მთელ საქართველოში ერთ-ერთი ამ ეზოელის სახელით მოიხსენიებენ – „კოსტავას ეზოდ“. მისი მემორიალური მუზეუმიც აქ არის.

დღეს ჩვენი უხუცესი „დიდი ეზოელი“ მეგობარი **ზურაბ შაუთიძე** იუბილარია – სოლიდური ასაკი შესრულებია. ჩვენ, მისმა მეგობრებმა, ზუსტად ვიცით მისი წლოვანება, ამის დამადასტურებელი საბუთებიც ხელთა გვაქვს, მაგრამ, რომ ვთქვათ, ამდენი და ამდენი წლისა გამხდარა ჩვენი ზურაო, არავინ დაგვიჯერებს და ამ დროული და ერთობ გამოჩენილი პიროვნების გაქილიკებად მიიჩნევენ. ამიტომ არ ვამხელთ მის ასაკს. დაე, ეგონოთ იმდენი წლისა, როგორადაც გამოიყურება. თუმცა, რა, იგი იმდენი და ისეთი

მოვლენების მოწმე და მონაწილეა, რომ მკითხველი დაახლოებით მაინც მიხვდება მის ასაკს...

ამ „დიდ ეზოში“ მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა ზურაბი. მის დედმამიშვილებს ერთობ მოსიყვარულე და-ძმობა ჰქონდათ, მაგრამ პატარა ზურას ყველაზე დიდი მეგობრობა და სიყვარული თავისზე ორი წლით უმცროს **მერაბ კოსტავასთან** აკავშირებდა. მერაბის ბაბუა განათლების სამინისტროს ცნობილი სპეციალისტი იყო და, ცხადია, შვილიშვილი პრესტიჟულ პირველ საშუალო სკოლაში შეიყვანა. მერაბმა კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ზურას გარეშე სკოლაში არ ვივლიო, თანაც, ჩემს კლასში უნდა იყოსო. ზურასაც ეს უნდოდა. ასე გახდა ზურაბ შაუთიძე **მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გელა ჩარკვიანისა** და სხვა ელიტური ოჯახების შვილების კლასელი და მეგობარი.

ზურაბ შაუთიძისა და **მერაბ კოსტავას** მეგობრობა კაცური, უანგარო ძმობის მაგალითია. მერაბთან ერთად ციხეში არ მჯდარა, თორემ თანადგომა არ დაუკლია მისთვის. ათი წლის განმავლობაში, სადაც კი ჰყავდათ პატიმარი **მერაბ კოსტავა** – მურმანსკში თუ ტაიშეტში, სხვაგან და სხვაგან, ყველგან აკითხავდა ზურა და მერაბის დედა – ქალბატონი **ოლია დემურიაც** მიჰყავდა შვილის სანახავად. სიცოცხლეშიცა და სიკვდილის შემდეგაც მისი ერთგული დარჩა და ალალად ასრულებს ძმის მოვალეობას.

„დიდ ეზოშიც“ და ეზოს გარეთაც, მასში განთავსებულ დაწესებულებებშიცა და იქაც, სადაც უმუშავია, ზურაბი ყველგან უყვართ, ყველგან სიყვარულით ხვდებიან, რადგან ყველას უგემნია მტკიცე თანადგომა და დახმარება, ყველგან და ყოველთვის, მოცალეობისას თუ მოუცლელობისას. დიპლომის მიხედვით, **ზურაბ შაუთიძე** ეკონომისტია, მაგრამ უამრავი რამ იცის და შეუძლია. ამიტომაა, რომ, თუ ვინმეს გაუჭირდებოდა, ამ ეზოს მრავალ ბინადართაც, ზურა იყო დამხმარე და მშველელი, რომ იტყვიან, ნამდვილი „მისტერ-მასტერია“.

ჩვენი ძმა და მეგობარი **ზურაბ შაუთიძე** შესანიშნავი მეურნეცაა და სანიმუშო მეოჯახეც, მზრუნველი მამა და მოსიყვარულე ბაბუა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, შვილიშვილებმაც არ იციან მისი წლოვანება და ბაბუას კი არა, ზურას ეძახიან. სწორადაც იქცევიან.

ვულოცავთ (ცოტაოდენი დაგვიანებით!) ჩვენს მეგობარ **ზურაბ შაუთიძეს** დაბადების მერაღაცე წლისთავს და ვუსურვებთ კიდევ მრავალი წელი გაჰყოლოდეს ახალგაზრდული სიკისკასე, რათა კვლავაც ნამდვილზე სამი ათეული წლით ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს!

ძმობითა და სიყვარულით: **ზურაბ ადამია, ჯემალ კასრაძე, პავლე მურადაშვილი, პეტრე კაჭკაჭიშვილი, ზურაბ ქობალია, ბორის მიშველაძე, ზურაბ ცუცქირიძე, თემურ ჭუმბაშვილი.**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე,
პასუხისმგებელი რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

სახალხო განათლება+ № 15 (4554)
11 ოქტომბერი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009